



განაცხადების მეორე კონკურსი

3 ივნისი, 2019

1. ვისთვის არის განკუთვნილი?

განაცხადების ეს კონკურსი გამიზნულია 18+ ასაკის ყველა საგანმანათლებლო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე მხატვრებისა და კულტურის სფეროს პროფესიონალებისთვის (კერძო პირები 5-მდე ადამიანისგან შემდგარი ჯგუფები), რომლებიც დაკავებულები არიან საშემსრულებლო ხელოვნებით და ვიზუალური ხელოვნებით და იურიდიულად ცხოვრობენ კრეატიული ევროპის წევრ ქვეყანაში.

განრიგი
განაცხადების კონკურსი: 3 ივნისი, 2019
განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა: 24 ივნისი 2019 (14:00 ბრიუსელის დროით)
შეტყობინება შედეგების შესახებ: 16 ივლისი, 2019
გამგზავრების ყველაზე ადრეული თარიღი: 25 ივლისი, 2019
დაბრუნების ყველაზე გვიანი თარიღი: 31 დეკემბერი, 2019

ვიზუალური ხელოვნება: ხელობა — დიზაინი — ციფრული ხელოვნება — მოდა — ნატივი ხელოვნება — გრაფიკული ხელოვნება — ფოტოგრაფია

საშემსრულებლო ხელოვნება: ცირკი — ცეკვა — ოპერა — შესრულება — თოჯინების თეატრი — ქუჩის ხელოვნება — თეატრი

კრეატიული ევროპის წევრი ქვეყნები: ალბანეთი, სომხეთი, ავსტრია, ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საქართველო, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, კოსოვო*, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, მოლდოვა, მონტენეგრო, ნიდერლანდები, ჩრდილოეთ მაკედონია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, ტუნისი, უკრაინა და გაერთიანებული სამეფო.

* ეს დადგენილება არ ზღუდავს სტატუსთან დაკავშირებულ პოზიციებს და შეესაბამება კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ UNSCR 1244/1999 -ს და ICJ-ის (იურისტების საერთაშორისო კომისია) შეხედულებებს.

2. რისთვის არის გამიზნული?

i-Portunus აფინანსებს კრეატიული ევროპის სხვა წევრ ქვეყანაში (ან რამდენიმე მათგანში) გამგზავრების ხარჯებს.

- მობილურობა უნდა იყოს 15-დან 85 დღემდე ხანგრძლიობით, რომელიც განხორციელდება 2019 წლის 25 ივლისიდან 31 დეკემბრამდე.
- მობილურობა ფოკუსირებული უნდა იყოს **ერთ** პროექტზე.
- ის შეიძლება იყოს უწყვეტი ან სეგმენტირებული:
 - **უწყვეტი** მობილურობა ნიშნავს იმას, რომ თქვენ გაქვთ ერთი ტურნე ერთ ან რამდენიმე დანიშნულების ადგილზე.
 - **სეგმენტირებული** მობილურობა ნიშნავს იმას, რომ თქვენ იმგზავრებით რამდენჯერმე ერთ ან რამდენიმე დანიშნულების ადგილზე. თითოეული მგზავრობა უნდა იყოს მინიმუმ 5 დღიანი და დღეების მთლიანი რაოდენობა უნდა იყოს 15-დან 85 დღემდე.

მობილურობის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ერთერთი შემდეგი:

- ✓ **საერთაშორისო თანამშრომლობა:** მაგალითად, თქვენ მუშაობთ კულტურულ საკითხებზე, როგორცაა გამოფენა, შესრულება, თეატრი, საერთაშორისო პარტნიორთან ერთად.
- ✓ **წარმოებაზე ორიენტირებული ადგილები:** მაგალითად, თქვენი მობილურობის შედეგი იქნება ახლად შექმნილი ხელოვნების ნიმუშის პრეზენტაცია — გამოფენა, შესრულება, პუბლიკაცია და ა.შ.
- ✓ **პროფესიული განვითარება:** მაგალითად, თქვენ მიიღებთ მონაწილეობას მოსმენებში, კსელის შეხვედრებში, ჩვენებებში, სახელოსნოებში, მასტერ კლასებში და ტრენინგის სხვა სახეობებში, რომელიც ოფიციალური განათლების ფარგლებში არ არის.
- ✓ **წარმოდგენა:** მაგალითად, თქვენ წარმოადგენთ გამოფენას, შესრულებას, თეატრს დანიშნულების ქვეყანაში.

ფინანსური მხარდაჭერა და ხელმისაწვდომი ბიუჯეტი: რამდენი?

მხარდაჭერის ვადა დამოკიდებულია თქვენი მობილურობის ხანგრძლიობაზე:

15-დან 29 დღე	1500 ევრო
30-დან 59 დღე:	2400 ევრო
60-დან 85 დღე:	3000 ევრო

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ხელოვანებისა და კულტურის სფეროს პროფესიონალებისთვის შესაძლებელია დამატებითი მობილურობის მხარდაჭერის გაწევა.

3. როგორ გავაკეთოთ განაცხადი

რა უნდა გავაკეთოთ

განაცხადის გასაკეთებლად თქვენ უნდა გავაკეთოთ პროექტის ორგანიზება მასპინძელ დაწესებულებასთან და პარტნიორთან კრეატიული ევროპის სხვა ქვეყანაში (ან რამდენიმე ქვეყანაში). თქვენს განაცხადში თქვენ:

- უნდა აღწეროთ პროექტი და მისი მთავარი ამოცანა,
- აღწერეთ, თუ რა სახით მოგცემთ ეს პროექტი მითითებული ამოცანის მიღწევის შესაძლებლობას,
- წარმოადგინოთ დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს თქვენს მიერ პარტნიორ ან მასპინძელ დაწესებულებასთან ერთად გეგმის შედგენას და პარტნიორი/მასპინძელი დაწესებულების ჩართულობას თქვენს პროექტში.

თქვენს განაცხადში მკაფიოდ უნდა იქნეს მითითებული, თუ ეს მობილურობა რა სახით იქონიებს გავლენას თქვენს პროფესიულ განვითარებასა და კარიერაზე (შექმნა, ტრენინგი, თანამშრომლობა, კარიერა ან დასაქმების პერსპექტივები, ქსელების შექმნა და ა.შ.).

დასაშვებობის მოთხოვნები: ინფორმაცია, რომელიც უნდა წარმოადგინოთ

განაცხადის გასაკეთებლად, თქვენ უნდა შექმნათ ანგარიში და შეავსოთ განაცხადის ფორმა *ინგლისურ ენაზე*: my.i-portunus.eu „განრიგის“ გრაფაში მითითებულ ბოლო ვადამდე (იხილეთ ზემოთ). ამ საბოლოო ვადის შემდეგ (2019 წლის 24 ივნისი, 14:00 ბრიუსელის დროით), თქვენ ვერ შეძლებთ თქვენი განაცხადის შესწორებას.

თქვენ უნდა წარმოადგინოთ შემდეგი ტიპის ინფორმაცია:

- პირადი მონაცემები
- განათლება
- სამუშაო გამოცდილება
- თქვენი დაგეგმილი მობილურობის დეტალები (თარიღები, დანიშნულების ადგილ(ებ)ი, ტრანსპორტირების სახე)
- ინფორმაცია თქვენი პროექტის შესახებ (აღწერა, მობილურობის საჭიროება, მომზადება, გავლენა)
- ფილბუქი განაცხადის პროცესის შესახებ

აგრეთვე შემდეგი დოკუმენტები (PDF ფორმატში):

- 1-გვერდიანი CV (მაქს. 10 მბ)
- პორტფოლიო (მაქს. 10 გვერდი, მაქს 10 მბ)
- შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც მხარს უჭერენ თქვენს მობილურობის გეგმას, მაგალითად: მოსაწვევი წერილები, შეხვედრის დასტური, შეთანხმებები თანამშრომლობის შესახებ და ა.შ. (მაქს. 5 გვერდი, მაქს 10 მბ)
- ხელმოწერილი განცხადება, რომელიც ადასტურებს თქვენს დაშვებადობას, სადაც ნათქვამია, რომ თქვენ არ ექვემდებარებით გარიცხვის კრიტერიუმებს (იხილეთ მე-7 ნაწილი ქვემოთ, მაქს. 10 მბ).

4. შერჩევის კრიტერიუმი: როგორ მოხდება თქვენი განაცხადის შეფასება

ყველა განაცხადს შეაფასებს ორი ექსპერტი დამოუკიდებლად: ერთი სპეციალიზებულია განმცხადებლის წარმომავლობის ქვეყანასა და სექტორში და მეორე სპეციალიზირებულია დანიშნულების ქვეყანასა და სექტორში.

ჩვენ ვიმუშავებთ ექსპერტებთან, რომლებიც სხვადასხვა რეგიონებსა და სექტორებშია სპეციალიზირებული. ნეიტრალობის მიზნით ჩვენ მათ სახელებს ვაქვეყნებთ მხოლოდ ამ საპილოტე პროექტის ბოლოში.

შემფასებლები შეაფასებენ თქვენი განაცხადის შემდეგ ასპექტებს:

- **შესაბამისობა:** რა მასშტაბით დაგეხმარებათ მობილურობა შედეგების მიღწევაში (20 ქულა)
- **მომზადება:** რა მასშტაბით არის მობილურობა და პროექტი კარგად მომზადებული (20 ქულა)
- **შედეგები:** რა შედეგს მიაღწევთ თქვენი მობილურობის შედეგად (10 ქულა)

პროექტების საბოლოო შერჩევა ეფუძნება შეფასების დროს მიღებულ ქულებს, აგრეთვე გათვალისწინებული იქნება გეოგრაფიული ბალანსი, ჩართულობა, გენდერული საკითხები, გარემო საკითხები და პროექტის ექსპერიმენტალური სახე.

თითოეული შემფასებელი ქულას დაუწერს თქვენს პროექტს, თვენი საბოლოო „ქულა“ იქნება ორი ქულის საშუალო მაჩვენებელი.

თქვენ ელფოსტის მეშვეობით გაცნობებენ შერჩევის პროცესის შედეგების შესახებ.

შერჩეულ განმცხადებლებს დაუკავშირდებიან კონკურსის ბოლო ვადიდან 3-4 კვირაში. დანარჩენები მიიღებენ ელფოსტას, სადაც ნათქვამი იქნება ის, რომ მათი შერჩევა არ მოხდა. განაცხადების რაოდენობის გამო i-Portunus გუნდი არ განახორციელებს გადაწყვეტილების მოტივირებას, რომელიც საბოლოო იქნება.

5. დაშვებადობის კრიტერიუმი: რა სახის პირობები არსებობს?

- განაცხადების წარდგენა უნდა მოხდეს ინგლისურ ენაზე, i-Portunus-ის ონლაინ განაცხადის ფორმის გამოყენებით იმ ბოლო ვადამდე, რომელიც ზემოთ მოცემულ მე-3 ნაწილში და განრიგშია მითითებული.
- განაცხადი უნდა შეიცავდეს განაცხადის ფორმით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას, მათ შორის დანართი დოკუმენტების ჩათვლით, რომლებიც მე-3 ნაწილშია მოცემული.
- განმცხადებლები უნდა იყვნენ ხელოვანები ან კულტურის სფეროს პროფესიონალები (კერძო პირები ან 5-მდე ადამიანისგან შემდგარი ჯგუფები), რომლებიც დაკავებულები არიან საშემსრულებლო ხელოვნებით და ვიზუალური ხელოვნებით, არიან მინიმუმ 18 წლის ასაკის და სამართლებრივად წარმოადგენენ კრეატიული ევროპის წევრი ქვეყნის-ის რეზიდენტებს. განმცხადებლები და განმცხადებელთა ჯგუფები უნდა იყვნენ კერძო პირები და არა იურიდიული პირები.
- მობილურობის დანიშნულების ადგილი უნდა იყოს კრეატიული ევროპის წევრი ქვეყანა

გამგზავრების თარიღი უნდა იყოს 2019 წლის 25 ივლისი ან შემდგომ; დაბრუნების თარიღი კი 2019 წლის 31 დეკემბრამდე. მობილურობის მთლიანი ხანგრძლიობა უნდა იყოს 15-დან 85 დღემდე (მგზავრობის დღეების ჩათვლით) და შეიძლება მოიცავდეს ერთ ან რამდენიმე მგზავრობას. სეგმენტირებული მობილურობის გამოთვლა მოხდება დღეების მთლიანი ჯამის მიხედვით.

- განაცხადს ადრე არ აქვს მიღებული i-Portunus-ის მობილურობის მხარდაჭერა.

თუ არ დააკმაყოფილებთ ამ მოთხოვნებს, მოხდება თქვენი განაცხადის უარყოფა.

6. პროცედურა: თუ მოხდება თქვენი შერჩევა

კონტრაქტი და მობილურობის მხარდაჭერის თავდაპირველი გადახდა

- თქვენ მიიღებთ ხელშეკრულებას, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროთ და ატვირთოთ თქვენს i-Portunus-ის ანგარიშზე.
- თქვენ აგრეთვე მოგთხოვენ ინფორმაციის წარმოდგენას თქვენი საბანკო ანგარიშის შესახებ (BIC და IBAN კოდით).
- ხელშეკრულების და საბანკო ინფორმაციის მიღების შემდეგ მობილურობის მხარდაჭერის 75% ჩაირიცხება თქვენს საბანკო ანგარიშზე.

თუ განაცხადს გააკეთებთ როგორც ჯგუფი: ჯგუფის თითოეულმა წევრმა უნდა მოაწეროს ხელი ცალკე ხელშეკრულებას და ცალკე მიიღებს თანხას.

ანგარიში აქტივობის შესახებ და მობილურობის მხარდაჭერის საბოლოო ანაზღაურება

რადგან i-Portunus არის საპილოტე მობილურობის პროექტი, თქვენ გთხოვენ პროგრამის შესახებ უკუკამირის წარმოდგენას მსუბუქი და მარტივი ანგარიშის სახით, რომელიც უნდა წარმოადგინოთ მობილურობის აქტივობის დასრულებიდან 2 კვირაში. აქტივობების ეს ანგარიში უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- შედეგები: შეესაბამებოდა თუ არა თქვენი მობილურობის შედეგი თქვენს მოლოდინებს და როგორ? თუ არა (როცა შედეგი აჭარბებს მოლოდინებს ან მოლოდინებზე ნაკლებია), გთხოვთ, ახსენით.
- დანართები: ვიდეოები, სურათები, დოკუმენტები, რომლებიც მოგვცემს უკეთეს ინფორმაციას თქვენი მობილურობის შედეგების შესახებ. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სხვაგვარადაა მოთხოვნილი, ვიზუალური მასალა გამოყენებული იქნება i-Portunus-ის ვებგვერდზე, სადაც ნახსენები იქნება ხელოვანის/კულტურის სფეროს პროფესიონალის სახელი.
- თქვენი მობილურობის დამამტკიცებელი საბუთები, მაგ:
 - ელექტრონული ჩასხდომის ტალონი/მატარებლის ბილეთი
 - ქვეკონტრაქტორის სურათები მობილურობის დროს
 - სოციალურ მედიაში აქტიურობა

i-Portunus-ის პლატფორმაზე ამ ანგარიშის შევსების შემდეგ თქვენ მიიღებთ მობილურობის მხარდაჭერის დარჩენილ 25%-ს. თუ არ მოხდება აქტივობის შესახებ ანგარიშის წარმოდგენა

მობილურობის დასრულებიდან 6 კვირაში, არ განხორციელდება დარჩენილი 25%-ის გადახდა.



ყურადღება! თქვენ უნდა გადაიხადოთ ყველა გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია თქვენს მიერ მიღებულ მობილურობის მხარდაჭერასთან. მასში შესაძლოა შევიდეს ორმაგი დაბეგვრაც. დეტალებისთვის იხილეთ https://europa.eu/youreurope/citizens/work/taxes/double-taxation/index_en.htm.

არასავალდებულო დამატებითი უკუკავშირი

რადგან i-Portunus არის საპილოტე პროგრამა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი უკუკავშირი, რათა გამოვიყენოთ თქვენი გამოცდილება სქემის გასაუმჯობესებლად. თქვენი მობილურობის შემდეგ ჩვენ გთხოვთ კითხვარის შევსებას, რომ შეაფასოთ მობილურობის სქემა.

7. საჯაროობა

თქვენს მიერ

პირებმა, რომლებიც იღებენ ფინანსური მობილურობის მხარდაჭერას, გარკვევით უნდა აღიარონ ევროკავშირის წვლილი პუბლიკაციებსა და ქმედებებთან მიმართებით, რომლისთვისაც გამოყენებულია ფინანსური მობილურობის მხარდაჭერა.

აქედან გამომდინარე, პირებმა, რომლებიც იღებენ ფინანსურ მობილურობას, განსაკუთრებულად უნდა გამოყონ ევროკავშირის და კრეატიული ევროპის პროგრამის ლოგო თავიანთ პუბლიკაციებში, პოსტერებზე, პროგრამებში და სხვა პროდუქტებზე, რომლებიც განხორციელებულია თანადაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

ამისთვის მათ უნდა გამოიყენონ ტექსტი, ლოგო და განცხადება უარის შესახებ ზემოთ მე-5 პუნქტში მითითებულ ხელშეკრულებაში მოცემული დეტალების შესაბამისად.

თუ არ მოხდება ამ მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება, ბენეფიციარის ფინანსური მობილურობის მხარდაჭერა შესაძლოა შემცირდეს ზემოთ ხსენებული ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად.

ევროკავშირის პროგრამის შესაბამის ტექსტსა და ლოგოზე დამატებით i-Portunus-ის გუნდი ბენეფიციარებს გადასცემს უარის თქმის ფორმას, რომლის გამოყენებაც სავალდებულოა და სადაც ნათქვამია, რომ ევროკავშირი არ არის პასუხისმგებელი პუბლიკაციებში და/ამ აქტივობებში გამოხატულ შეხედულებებზე, რომლებისთვისაც გამოყენებულია მობილურობის მხარდაჭერა.

i-Portunus-ის მიერ

ინფორმაცია, რომელიც ფინანსური წლის განმავლობაში გაცემულ ფინანსურ მობილურობის მხარდაჭერას ეხება, უნდა გამოქვეყნდეს ევროკავშირის დაწესებულებების ინტერნეტ საიტზე არაუგვიანეს ფინანსური მობილურობის მინიჭების ფინანსური წლის მომდევნო წლის 30 ივნისისა.

i-Portunus გამოაქვეყნებს შემდეგ ინფორმაციას:

- ბენეფიციარის სახელი,
- ფინანსური მობილურობის მხარდაჭერის საგანი,
- გამოყოფილი თანხა.

ბენეფიციარის მიერ გონივრული და დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლოა გამოქვეყნებაზე უარი ითქვას, თუ მსგავსი სახის გამჟღავნება რისკის ქვეშ აყენებს მასთან დაკავშირებული პირის უფლებებს და თავისუფლებას, რაც დაცულია ევროკავშირის ადამიანის ფუნდამენტალური უფლებების ქარტიით ან თუ ის ზიანს აყენებს ბენეფიციარის კომერციულ ინტერესებს.

8. გარიცხვის კრიტერიუმები

კონსორციუმის პერსონალი

იმ ორგანიზაციის პერსონალი, რომელიც ჩართულია 2019 წლის i-Portunus საპილოტე პროგრამის მომზადებაში, არ არის უფლებამოსილი მიიღოს მხარდაჭერა:

- კრეატიული ევროპის პროგრამის პერსონალი
- გოეთეს ინსტიტუტის პერსონალი
- Institut français-ის (პარიზი) პერსონალი
- იზოლაციის პერსონალი
- ვილნიუსის ხელოვნების აკადემიის ნიდას ხელოვნების კოლონიის პერსონალი

9. ფინანსური დებულებები

გენერალური პრინციპები

ა) არა-რეტროაქტივობა

ფინანსური მობილურობის მხარდაჭერა არ გაიცემა რეტროსპექტიულად უკვე განხორციელებული ქმედებებისთვის.

ბ) ხელშეკრულებებისა/ქვეხელშეკრულებების შესრულება

როცა ქმედების განსახორციელებლად საჭიროა შესყიდვის ხელშეკრულების (შესრულების ხელშეკრულების) დადება, პირმა, რომელიც ფინანსური მობილურობის მხარდაჭერას იღებს, უნდა შეინახოს დოკუმენტაცია შემდგომი აუდიტის მიზნით.

10. მონაცემების დაცვა

განაცხადების კონკურსზე პასუხის გაცემა მოიცავს პირადი მონაცემების ჩაწერას და დამუშავებას (როგორცაა სახელი, მისამართი და CV). მსგავსი მონაცემების დამუშავება მოხდება ევროსაბჭოს 2018 წლის 23 ოქტომბრის და ევროპარლამენტის (EU) 2018/1725 რეგულაციის თანახმად, რომელიც შეეხება ფიზიკური პირების დაცვას კავშირის დაწესებულებების, ორგანოების, ოფისებისა და სააგენტოების მიერ პირადი მონაცემების დამუშავებასთან მიმართებით და მსგავსი მონაცემების თავისუფალ მოძრაობას: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX:32018R1725>

გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სხვაგვარადაა მითითებული, შეკითხვები და ნებისმიერი მოთხოვნილი პირადი მონაცემი საჭიროა განაცხადების კონკურსის სპეციფიკაციების

შესაბამისად განაცხადის შესაფასებლად და მათი დამუშავება მოხდება i-Portunus-ის შეფასების გუნდის მიერ მხოლოდ ამ მიზნით. პირადი მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული დეტალები მოცემულია განცხადებაში კონფიდენციალურობის შესახებ: https://ec.europa.eu/info/funding-tenders/rules-public-procurement/data-protection-public-procurement-procedures_en.

11. კონტაქტები

i-Portunus-ის გუნდი ხელმისაწვდომია იმისთვის, რომ უპასუხოს ამ განაცხადების კონკურსთან დაკავშირებულ ყველა შეკითხვას. ყველა შეკითხვის გაგზავნა უნდა მოხდეს ელფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: info@i-portunus.eu.

